

საქართველო

ეროვნული თავისუფლების ბრძოლა — პიროვნული თავისუფლებისათვის
პიროვნული თავისუფლების ბრძოლა — ეროვნული თავისუფლებისათვის

ეროვნული
გზისკითხვა

საპარტიველო სსხლსო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 45 (1330)

13-19 ნოემბერი, 1992 წ.

როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა, ასევე ახალ პარლამენტართა სისტემატური განცხადებები, რომ ჩვენ ყველანი ერთად ვსწავლობთ დემოკრატიას, უკვე თავისებურ რიტუალურ ელფერს იძენს. ისე კი, აღბათ აჯობებდა ყველას ცალ-ცალკე, საკუთარ წრეში გვესწავლა ელემენტარული დემოკრატიული ნორმები, რაც კონკრეტულ შემთხვევაში იმის გარანტიას მინც მოგვცემდა, რომ ზოგერთი ჩვენი პარლამენტარი /ზოგჯერ კი მთელი პარლამენტი/ ისეთ ფეთქებად და სწრაფა-აღუბად „ნივთიერებასთან“ კონტაქტში არ შეუდგებოდა დემოკრატიკაში ვარჯიშს, როგორც მასობრივი ინფორმაციის ორგანოება, მხედველობაში გვაქვს, არაკორექტული დამოკიდებულება პარლამენტში აკრედიტორებულ ჟურნალისტთა კორაჟისადმი, რამაც თავი იჩინა მიმდინარე სესიის პირ-

რაც შეეხება დასავლეთს, იქ არა თუ დამწყები, საჭეყნოდ აღიარებული პოლიტიკოსიც კი უფლებას ვერ მისცემს საკუთარ თავს, ჯეროვანი პატივისცემით არ მოეცილოს ჟურნალისტთა კორაჟს, ეს მისი კარიერის დასასრულს დასაწყისი იქნებოდა. ასე რომ, ძვირფასო პარლამენტარებო, თუკი მართლაც დასავლურ დემოკრატიაზე გაქვთ კურსი აღებული, ამთავითვე იყავით თანმიმდევრულნი.
არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს პარლამენტში ჟურნალისტთა აკრედიტაციის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზება; ჟურნალისტებს არა აქვთ კონკრეტულად განსაზღვრული ადგილი საჩვენებელი ფირანიში. თუკი ამდენი პარტიისა და ბლოკის დასახელებათა საჩვენებელი დამზადდა, ერთი მგეტე — „პრესა“, ხარჯებს დიდად არ გაზრდიდა. ამიტომაცაა, რომ ჟურნალისტებთან ერთად იკავებენ ად-

აირჩიოს საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელი პირები

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე,	ვახტანგ ბოლუაძე
პარლამენტის სპიკერი	რუსუდან ბერიძე
სპიკერის მოადგილეები	ვახტანგ რჩუაიშვილი
კომისიის თავმჯდომარეები:	
სამანდატო	თენგიზ ბუაჩიძე
საგარეო საქმეთა	თამაზ გაყრელიძე
თავდაცვის და ეროვნული უშიშროების	ნოდარ ნათაძე
იურიდიული	შალვა ნათელაშვილი
ეკონომიკის	ვალერიან აღვაძე
საფინანსო-საბიუჯეტო	თეიმურაზ ბასილია
ეკოლოგიური	ზურაბ ნოღაიძე
ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის რეფორმათა	ირაკლი უნებუაია
განათლების და მეცნიერების	კოტე ბაბაშვილი
კულტურის	ელდარ უნებუაია
ჯანმრთელობის დაცვის	თენგიზ გაყრელიანი
აგრარული	როინ ლიპარტულიანი
მრეწველობის, მშენებლობის და ა.შ.	ნიკო ლევიშვილი
ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის	ბიბა ლორთქიფანიძე
სოციალურ საკითხთა	ზაზა სინარულიძე
მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის	ვაჟა აღაშაძე
სპორტის და ტურიზმის	ბეჟან ხურციბე
სამდივნოს უფროსი	ვასილ გოცირიძე

იძულებულნი ვართ, შევახსენოთ პარლამენტარებს

ველსავე დღეს და დღემდის გრძელდება.
ჟურნალისტებისადმი „განსაკუთრებული პატივისცემა“ გამოიკვეთა 10 ნოემბრის სხდომაზე, როდესაც ჯერ იყო და ღია სხდომა ნახევარი საათით „დახურეს“ და ჟურნალისტებს დარბაზი დაატოვებინეს, ხოლო როდესაც პარლამენტის კარი კვლავ გაიღო მათთვის და „მეოთხე ხელისუფლების“ შეცბუნებული წარმომადგენლები მორცხვად იკავებდნენ ადგილებს, ერთმა პარლამენტარმა კვლავ მოითხოვა ჟურნალისტების დარბაზიდან გასვლა.
ჩვენში „მამაო ჩვენოს“ ხასიათი მიიღო აგრეთვე „დასავლური ცივილიზაციისაგან“ სწრაფვან გაუთავებლობა ლაბარაკმა. საინტერესოა, როგორ ესახებათ უკანასკნელი საქართველოს პარლამენტარებს, იგივე დასავლეთის დემოკრატიის (პირველ რიგში სწორედ საპარლამენტო დემოკრატიის) ისეთ ქვაკუთხედთან კონტაქტში, როგორცაა მასობრივი ინფორმაციის ორგანოებთან ურთიერთობა? იძულებულნი ვართ შევახსენოთ ჩვენს პატივცემულ კანონმდებლებს, რომ ჟურნალისტებიც მათსავით სამსახურებრივ მოვალეობას იხდიან პარლამენტის კედლებში. საბოლოო ჯამში ყველანი ერთად ერთ საქმეს ემსახურებიან და ჟურნალისტებზეცაა დამოკიდებული ასეთ ტანჯვაში შობილი პარლამენტის მარგი ქედების კოფეციენტი.

გილებს ყოველი სახელმწიფო საბჭოს რიგითი თანამშრომელი ქალბატონები (რაც არასასიამოვნო ასოციაციებს იწვევს) და სხვა დაპატიჟებული თუ დაუპატიჟებელი პირები. ისიც ფაქტია, რომ ე.წ. „მიწვეულთა“ სიები გულუხვი ხელით არის შედგენილი, ჟურნალისტთა სიებისაგან განსხვავებით.
ღრმა სინანულს გამოვთქვავთ, რომ საჯაროდ ვცხდებთ ყოველგვარ ამზე საუბარო, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს-ჩვენც თითოეულ პარლამენტარზე ნაკლებად არ ვართ დაინტერესებული ნამდვილი დემოკრატიის დამკვიდრებაში.
P.S. სრული გაგებით ვცხდებით იმას, რომ საომარ ვითარებაში პარლამენტის არაერთი სხდომა იქნება და უნდა იყოს კიდევ დახურული. მაგრამ ასეთ შემთხვევებში ან წინა დღეს უნდა ეცნობოთ ჟურნალისტებს ან სხდომის მიმდინარეობის პროცესში მინც ითქვას, რომ ვთქვათ, ამა და ამ შესვენების შემდეგ ცხადდება სხდომა დახურულად.
წინააღმდეგ შემთხვევაში, მაინცადამაინც ჟურნალისტთა ღირსების გავრთხილებად ვერ აღვიქვამთ იმ ფაქტს, თუ თითოეული დეპუტატი ნებისმიერ დროს განაცხადებს-ახლა ისეთი რამ მაქვს სათქმელი და საჩუქრული, პრესა უნდა გააჩიროთ როგორმე...

სოსო ცინცაძე,
ჟურნალ „პოლიტიკის“
მთავარი რედაქტორი.

„ერთობა რევოლუციის განხილვა, გზისკითხვის სასრულოა“

თუ ჩვენი პარლამენტარები ამ დიდებულ აზრს არ გაუწევენ ანგარიშს, ისედაც დაქსაქსული საზოგადოება, მათი წაბძვით, კიდევ მეტად დაიყოფა ჯგუფებად, გუნდებად, მომხრეებად, მოწინააღმდეგეებად და პარტიულ კინკლაობას გადაყოლილი ხალხი ერთხელ კიდევ გაახარებს ოთხივე მხრიდან მომდგარ მტერს.
იმედია, ჭკვიანი პარლამენტარები საქართველოსთვის სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტისას, გამოაქვნიან საერთო ენას და მალე სხდომები უფრო ლაკონური და საქმიანი გახდება.
იმედია, უქკუო პარლამენტარებს, რომელნიც თავის უქკუობას ვერ ხვდებიან და არც იმედი ჩანს იმისა, რომ ოდესმე შეიგნებენ, პარლამენტი ან პრესა აიძულებთ, ნაკლები ილაპარაკონ, რათა ნაკლებად მოიჭრან თავი. უკეთესია თუ სულაც არ ამოიღებენ ხმას და თავსაც დაინდობენ, კოლეგებსაც და ტელემთაყურებლებსაც.

თუმცა შიგადაშიგ აუდიტორიის განსამუხტავად შესაძლოა მათ გამოსვლასაც ჰქონდეს აზრი...
ასე მაგალითად, ოთხშაბათის სხდომაზე ბატონ ჭინჭარაულის გამოსვლისას უფასოდ, უბილეთოდ, საზოგადოებამ მშვენიერი თავისშემაქცევარი სანახაობა იხილა.

„ღვთიუპილავი და პირიუპილავი“

ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატად დასახელებულმა პარლამენტარმა ზაზა სინარულიძემ, როგორც იტყვიან, ჭკა ააგდო და თავი შეუშვირა (ფიგურალური გამოთქმაა ასეთი, თორემ პარლამენტის სხდომებზე ჯერჯერობით კენჭის საყრელად ქვებით დაილოციავებულნი არ შედიან).
დიას, ჭკა ააგდო და თავი შეუშვირა, გინდა თუ არა, თქვენ— ვეტერანთა კავშირის წარმომადგენელი (გვყავს ასეთი მოსოციალისტო პარლამენტარი) და ყველა ვეტერანი, ვეტერანები კი არა, ღვთიუგელები ხართო. ორატორმა იმდენი იძახა, ღვთიუგელები ხართ და სხვა სახელი არ გეთქმითო, რომ მოთმინებიდან გამოსულმა ერთმა დეპუტატმა კოლეგებს გადაულაპარაკა:
— ძმებო, ეს ვეტერანები თუ ღვთიუგელები არიან, რავე ჩვენ ვირიუგელები ვართო?..

... ერთ მშვენიერ დღეს რედაქციაში გვეწვია ჯარისკაცი გურამ მექვაბიშვილი თავის მეგობართან ერთად.

შეითხველს შევახსენებთ, რომ ჩვენი გაზეთის 18-24 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი „ჯარისკაცს სათავისო ტყეა არ დასჭირვებია“, სადაც მოთხრობილი იყო აფხაზეთში მისი დაჭრის ამბავი. იგი იმჟამად



გურამ მექვაბიშვილი

თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მკურნალობდა და ბუნებრივად, ჩვენც გამოგვანმრთელედა და საავადმყოფოდან გვიღობით გამოწვერა მიეულოცეთ.

მან კაცინა და გვითხრა, საავადმყოფოდან გაიარა, აფხაზეთიდან მოგვიყვარა დროებით ჩამოვედი და ისევ უკან უნდა დავებრუნებო.

თვალთან რა მოგივიდა, კიდევ ხომ არ დაგვითხარო, შეგვიხსენებ ჩვენი დაგვეთანხმბა, კიდევ დევიტერი და ბეწვზეც გადაფურჩი სიკვდილს, მაგრამ ამაში განსაკუთრებული არაფერია, ყველა იქ მყოფი ხომ სიკვდილს უყურებს თვალებშიო.

იმის მაგიერ, რომ თავდაცვის სამინისტროში პენსია მოეთხოვა, ეს კაცი კვლავ საომრად წასულა აფხაზეთში; ეს მიიღად ჩვეულებრივი ჯარისკაცი არ ჩანს, ხომ არ მოგაყვლით თავისი ამბავით, შემოგთავაზა ერთმა თანაშემრომელმა...

ქვემოთ გთავაზობთ გურამ მექვაბიშვილისა და ზაზა ჯოხარაძის ნაამბობს.


გ. მ. — ჩვენი საუბრის შემდეგ მე ერთ კვირაში გამოვეწერე საავადმყოფოდან იმ პირობით, რომ სახლიდან მეგულო სამკურნალოდ. ერთ დღესაც მივედი „არამიანცის“ საავადმყოფოში, სადაც პროსექტურაში ჩვენს დაღუბულებს ვეძებდი და შემთხვევით ვახე ს. ჯ. ჯოხარაძე. ჩვენი საამოდან, ისიც თურმე შემდეგ პრილა გულმკერდის არეში და ქ მკურნა.

ს. ჯ. — ლატრილი გურამი რომ თბილისში წამოვიდა, ა. შ. შემდეგ, 14 სექტემბერს კოლხიდის მთებში აუღდით რამდენიმე კაცი წინა ხაზის დასაცავად, ღობონი იყო დარგული

ტერასებზე. იქ იყო დანაღული ველი, მაგრამ რადგან უკან მხარესაც იყვნენ დარჩენილი მტრის მეომრები, ამიტომ წინიდანაც და უკინდანაც ვივრებიდით. მეორე დღეს, შუადღისას, როცა ვსაუესობდით, თურმე ისინი ალკაში გვაქცევდნენ. მე ჰკამს მოვრჩი და „ATC“-ის ბარანებში დავიწვე ტყვიების ჩატენა, რომლებსაც საქარსო ქაღალდი მქონდა შემოკრული. ბოლო ტყვია მეგობარს მივაწოდე, თითები მეტონა, ქაღალდი შემოსხვი მეოქი. შემოსხნა, მომწოდა და მეც გადავიხარე ტყვის ჩასატენად და როგორც ჩანს, ამან გადამარჩინა — ნახროლმა ტყვიამ მხარში გაიარა, ზურგის მხრიდან, გულთან ახლოს და წელში გავიდა. მე რე ატყდა სროლა და ყველანი დავწვეით. გოუქუე, გველები — მეოქი. წინ, ქვემო ტერასზე ორი ბიჭი ჩახტა, საიდანაც გვესროდნენ. მე მუსხლებზე წამოვდექი და ატრომატით

შედი, ვუწმერ პავლიაშვილი და სხვები... პოდა, ერთ დღესაც მივედი თავდაცვის სამინისტროში, ბატონ ს. უჩაძესთან. ამ მართლაცად დიდებულმა კაცმა ჩვენს ოცკაციან ჯგუფს ყველა საჭირო აღჭურვილობა გამოგვიყო, მეოთხედ ლეიტენანტი მერაბ ლორთქიფანიძე დაგვინიშნა და შეგვიყვანა „ავას“ შემადგენლობაში. ჩავერინდით სოხუმში, დებანაკლით კომპოზიტორთა კავშირის სასტუმროში და იმ დღესვე გავედით პოზიციაზე. ს. ჯ. — რაკი ჯავშანუილეტი გვაკვდა, ერთი ცალი ვიშოვეთ, დავწოდეთ და თითო ფორფიტა ყველამ გულის ჯიბეში ჩავიდეთ. სწორედ ამ ფორფიტამ გადაარჩინა გურამი... გ. მ. — ჩვენი ჩასვლიდან მესამე დღეს შევაშინეთ, რომ მტრის მსუვრავები ჭოტის ხმით გადასცემდნენ ერთმანეთს სიგნალებს. პო, დამე

ოცი კაციდან რვა კაცი იყო უავტომატოდ. რატომ? რა ვიცი, შტაბში რაფქვრეულები იქ დაკარგულა. პოდა, ამ ბუნებრივად მოხდა ბრძოლა გაუმართეს მტერს, ძალიან მოგვემარჩინა. ამის მერე იქვე არსებულ არხისხას ყოველ რეზიდენციაში შევვარდით, რაკი იქიდანაც გვესროდნენ. მესამე საროულზე რომ ავირბინე, მტრის ტყვამ თვალის არეში



ზაზა ჯოხარაძე

დაიჭრა. ბიჭებმა სასწრაფოდ გამოგვიანა დამპირეს, და იქვე დაიჭრა თავის არეში წყრი საღინაშვილი. ახლა მერაბ ლორთქიფანიძემ გადამხეა ხელი, რომ არ წამცველიყვი და მტრის ტყვამ ხელში გაუარა, მაგრამ ბოლოს მაინც გაგანდგურეთ მტრები კვლავ პოზიციაზე დავებრუნეთ.

ს. ჯ. — 13 ოქტომბრამდე მუღ ატყაი შეტევაში იყო, მტერი სულ ადგოხს ეძებდა ჩვენს პოზიციაზე. მე რე შეტევაში სოხუმისკენ შეწვდა და ახლა თანამირეში გადმოსხეს ფესანტი, რომელიც განადგურებული იქა ჩვენი მებრძოლების მიერ. თანამირეში მერე შეუტეეს შრომას, სადაც სიმინდის ყანებში სამუშაოდ გასული უარალო, მშვიდობიანი მოსახლეობა დახოცეს, მაგრამ ეს შეტევაც მოგვირეებული იქნა. ამ ბოლო ხანებში სოხუმის თავზე დასვერეს მიზნით დაფრინავდა რუსეთის არმიის კოორდინი თეთიფრინავი, რომელსაც დააოქიორა ჩვენი პოზიციები და სწორედ ამის მერე დაიწვეს ამ ადგილების დაბომბვა. კვლავ იყო შეტევა, მაგრამ ისიც მოვიგერიეთ.

გ. მ. — იმათ შეტევებსაც მოვიგერიებთ და როცა დრო მოვა, ჩვენც გადავალთ შეტევაზე, მაგრამ ჩვენს გაჭირვებაზეც უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. განვიცდით სურათის ნაკლებობას, გვაკვია ვახუნებია და იარაღიც. ამის გამო რამდენიმე მოხალისე გაგაბრუნეთ უკან. ამ ბოლო დროს შევეუბრთდით ბორის კაცებავას „მხედრიონის“ ბატალიონს, მანაც კიდევ დახმარება გვაგვიწვია, რის გამოც დიდი მადლობა უნდა ვუთხროთ...

მოამზადა მიხო მოსულიშვილმა,

„სათავისო ტყვია არც ამჯერად დამჭირვებია...“


დავიწვე სროლა, ვასო ჯარიაშვილმა „ღობონა“ ჩაუგლო მომხვედრებს. ამის მერე სროლა შეწვდა. სისხლი მიღობდა და გამოსვლაზე უნდა მეუიქრა. უკან წავედი, სანამ გავიდოდი, ორი ჩვენიანი ენახე. წადი, რას დგახარო, მითხრა ერთმა, სისხლიანი რომ დაშინასა. მე თავი დამსხე, მიშა ნოხაძეს მიხედე მეოქი, ვუთხარი. რომ გადმოაბრუნეს, თავი გადაუვარდა-მოგვლით...

პო, აი, ეს სამხედრო ქურთოქი ჩვენსა ამხეთაურმა საშა მამალაძემ მარუქი, თვითონ რომ დაიჭრა. როცა მეც დავიჭერი, მაშინაც ეს მეცევა აი, ჩანს კიდევაც ნატყვიარები მხარზე და ზურგზე. პო, მხარში მომხედა და წელში გამიარა...

გ. მ. — თურმე ზასაც ჩვენს დაღუბულებს ეძებდა შორგში. აქ ენახეთ მიშა ნოხაძის, გურამ გულაგას, მაისერ ბაიაძის, ვოვა ბელმინიოის, მაშა გამკაძის — შტაბის უფროსი იყო საწყალი, — ნეშტები. მაისერ ბაიაძეს ნეშტი 17 დღის ძემნის შემდეგ ეპოვეთ, გავიგეთ მისი მისამართი და ჩავუყვეთ მშობლებს.

ამასობაში წელ-წელა შევიკრიბეთ ერთად ნაბრძოლი ბიჭები — ვასო ჯალაიაშვილი, დავიდ კობაძე, მერაბ ლორთქიფანიძე, ვახტანგ ასათიანი, თურმან თორელაშვილი, კობა შაყელა-

იყო, ასე, თორმეტი საათი იქნებოდა. შემდეგ კიდევ შევაშინეთ რაღაც შეტევი ინიობა-ქრება, ინიობა-ქრება... აქ რაღაც კუდად არის საქმეო, თქვა მერაბ ლორთქიფანიძემ და თხიი კაცი — მე, ლადო კობაძე, ვასო ჯანიაშვილი და გიზო — გაგავაზავე, რათა შეგვემოწმებინა ჩვენს ზემოთ არსებული პოზიცია, სადაც ოცდაათამდე კაცი იგდა და ცხრა დანადგარი „გრადი“ მქონდათ. იქ რომ მივედით, მტრის სიგნალები შეწვდა. დავიკავეთ პოზიცია თუ ახლა, შეტევაზეც დაიწყო. კიდევად გასროლილი ტყვია მე მომხედა, მაგრამ სიკვდილისგან დამიცვა ამ ჯავშანუილეტის ფორფიტამ, რომელიც, როგორც გითხარი, გულის მხარეს მდებ ვიბეში. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, დაახლოებით სამი მეტრით მისროლა უკან... ამასობაში იმათ მანქანები გაიყვანეს ამ ტერიტორიიდან და დარჩით სამი კაცი — მე, ვასო და ლადო, რადგან გიზო ჩვენებთან გავეზაუნეთ დამხმარე ძაღის მოსაყვანად. ვიბრპით, ვიგერიებთ და ვატყობთ, ვახნები გველევია... ბოლოს ლადოს დარჩა სამად სამი ტყვია და მე დავსოს მოგვდა, თუ კიდევ წამოვლდე, ცოცხლად რე ჩაგებარებოთ; მაგრამ არც ამჯერად დაგჭირვებია სათავისო ტყვია — სულზე მოგვისწრეს ჩვენს ბიჭებს.



ჯავშანუილეტის ამ ფირფიტებმა სიკვდილისგან იხსნეს გურამ მექვაბიშვილი

უკვდავების ბინადარნი



10 ნოემბერს ქართველმა ხალხმა უკანასკნელ გზაზე გააცილა აფხაზეთში, სოფელ შრომასთან დაღუბული ექვსი მამულიშვილი: ვაჟა ბანეთიშვილი,

ვიტალი სუფორიანი, ბადარი ევანია, სოსო გრიგოლავა, კობა აბზიანიძე და საქართველოს პარლამენტის წევრი ნუგზარ მიხინაშვილი. სამშობლოსათვის

დაცემულნი ავღანეთის ომგამოვლილი ვაჟკაცები იყვნენ. — კაცი ზღვას გადაურჩა და წვეთმა დაახრჩო, ხშირად გაიგონებდით იმ დღეს თვალ-



ტრემლიანი ადამიანებისგან გარდაცვლილთა მისამართით ტკივილით ნაქვამ სიტყვებს. მაგრამ არავენ იცის, რომელი უფრო დიდი „ზღაა“ — ავღანეთი თუ

აფხაზეთი, სადაც იმპერიალისტურ რუსეთის ხელშეწყობითა და აშკარა მონაწილეობით საქართველოს მრავალი ბოროტი ძალა უპირისპირდება.

სხვა გაზეთებიდან

„დეპუტატი“ თუ „პარლამენტარი“

ბაიპარტი არჩევნები საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რომელსაც ვუწოდებთ საქართველოს „პარლამენტს“ და არა „უმაღლესი“ ან „უხუცესი საბჭო“, რითაც ერთგვარად გავემიჯნეთ სახელწოდებითაც ხელისუფლების ძველ, საბჭოურ სტრუქტურებს. მაგრამ ამასთან ერთად „პარლამენტის წევრის“ აღმნიშვნელ სახელად მაინც ძველი ტერმინი „დეპუტატი“ რჩება. ცნობილია, თუ რა ფსიქოლოგიურ-სემანტიკური და ტვირთის მატარებელია საგნის სახელი, საერთოდ მოვლენისა თუ საგნის დასახელება. სასურველია ამიტომ „დეპუტატი“ ტერმინი, რომელიც ქართულში რუსულიდან მომდინარეობს და თავდაპირველად ძველი, ამჟამად უკვე გაუქმებული „უმაღლესი საბჭოს“ წევრს აღნიშნავდა, „პარლამენტარი“ სახელით შეცვალოთ, რომელიც უშუალოდ „პარლამენტის წევრს“ ნიშნავს (შდრ. ამ მხრივ ფრანგული „პარლამენტარი“ ან იტალიური „პარლამენტარი“ „პარლამენტის წევრის“ მნიშვნელობით).

თვით ДЕПУТАТ ტერმინი რუსულში ლათინური ენიდან მომდინარეობს გერმანულის გზით, სადაც ეს სიტყვა სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება და არ აღნიშნავს საკანონმდებლო ორგანოს წევრს. „დეპუტატი“ საკანონმდებლო ასამბლეის წევრის მნიშვნელობით, „პარლამენტარი“ ტერმინის გვერდით, მხოლოდ ფრანგულში გვხვდება „დეპუტე“ ფორმით, აგრეთვე იტალიურში: „დეპუტატი“. სხვა საპარლამენტო სისტემებში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრის აღსანიშნავად ამისგან განსხვავებული ტერმინებია გამოყენებული. ინგლისურ და ამერიკულ სისტემებში, მაგალითად, ესაა „პარლამენ-

ტის წევრი“, „სენატორი“ „კონგრესმენი“, ხოლო, „დეპუტატი“ ტერმინი (ინგლ. „დეპუტი“) „მოადგილის“ მნიშვნელობით იხმარება: „დეპუტატი-მინისტრი“ მხოლოდ „მინისტრის მოადგილეს“ ნიშნავს.

ახალი ქართული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფორმირებისას მიზანშეწონილია უარი ეთქვას ძველ ტერმინოლოგიაზე, რომელიც გარკვეულ ასოციაციებს იწვევს, და შემოვიღოთ ახალი სახელწოდებები, კერძოდ „პარლამენტი“ და „პარლამენტარი“ — „პარლამენტარები“ ნაცვლად „დეპუტატი“ — „დეპუტატებისა“. ეს მით უფრო სასურველია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა უმრავლესობაში, სადაც შენარჩუნებულია „უმაღლესი საბჭოები“, ამ „საბჭოების“ წევრები კვლავინდებურად სწორედ „დეპუტატებად“ იწოდებიან. თუ ჩვენ ვცვლით „უმაღლეს საბჭოს“ „პარლამენტით“, შესაბამისად უნდა შეიცვალოს „უმაღლესი საბჭოს წევრის“, ანუ „დეპუტატის“, სახელწოდება „პარლამენტის წევრის“ აღმნიშვნელი სახელწოდებით, ანუ „პარლამენტარი“ — „პარლამენტარები“ ტერმინით.

(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №226)

რედაქციისაგან: ხავსებით ვეთანხმებით ბატონ თამაზ გამყრელიძის ზემოთწარმოდგენილ მოსაზრებას ცნება „პარლამენტარის“ დამკვიდრების მიზანშეწონილების შესახებ და ვფიქრობთ, საინფორმაციო საშუალებები თუ გაიზიარებენ ამ თვალსაზრისს, თანდათანობით ამ ცნების დამკვიდრებაც მოხდება საზოგადოების აქტიურ სალაპარაკო ლექსიკაში.

თამაზ გამყრელიძე

ნახერხიო საგსა ჭინჭის გურთი

პროფესორი
გიორგი ბერიძე

ამ რამდენიმე დღის წინ უპრეცედენტო ფაქტის მომსწრენი გავხდით. გაზეთ „თბილისის“ 1992 წლის 9 ნოემბრის ნომერში ხელმოწერილ დაიბეჭდა ამავე გაზეთის 11 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი სათაურით „ეკონომიკური რეფორმის შუქ-ჩრდილები“, რომლის ავტორია კომუნისტური მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ოთარ მელქაძე. როგორც გაზეთის მინაწერიდან ვიგებთ, ხელმოწერა ამ წერილის დაბეჭდვა ავტორის დაინებული მოთხოვნით მომხდარა „კორექტურული უზუსტობის გამო“.

თურმე „კორექტურულ უზუსტობაში“ იგულისხმება ის ორიოდე აბზაცი, რომელიც შემოკლების გამო პირვანდელ ტექსტში ვერ მოხვდა.

სტატია ძირითადად ბატონ რომან გოცირიძის წინააღმდეგაა მიმართული. კრიტიკის უფლება, ბუნებრივია, ყველას აქვს, თუმცა მოტივი რამდენად ზნეობრივია, ეს სხვა საკითხია. პირველად იგი არჩევნების პერიოდში იქნა მიტანილი გაზეთში, მეორედ — ახლახან, პარლამენტის მუშაობის საწყის ეტაპზე. ერთი წერილის ორჯერ გამოქვეყნების მიზანი რომ ნათელი იყოს, მოვიტან იმ ადგილს, რაც პირველ ვარიანტში ვერ მოხვდა, მეორეში კი, როგორც ჩანს, ავტორის ძირითად მიზანს ააშკარავებს. ბატონი ყოფილი ვიცე-პრემიერი იგავის ენით წერს: „ამან ჩვენი გაჭირვებული ბავშვობა გამახსენა. როგორ გავიხარეთ, ქვით მოკირწყლულ ფეხბურთის მოედანზე პირველად რომ გამოჩნდა „კამერა-ობოლოჩკა“. სიხარული ხანმოკლე გამოდგა. მალე „კამერა“ დაიწურა. გამოსავალი სწრაფად მოინახა — ნახვრეტს კენჭი ამოვუდეთ და ძაფი შემოვკაართ. მერე მეორედ, მესამედ ად ა.შ. ასეთი „სავეტსკი ლატკების“ სიმრავლემ ისე დაცხრილა, რომ მალე ჭირი მოგვჭამა და იძულებით კვლავ გამძლე, ნახერხით დატენილ ნაჭრის ბურთის დაგვბრუნდით“...

არ ვიცი ავტორი რას ფიქრობდა, მაგრამ მე ასე გავიგე: „ახალი ცოცხი“

(რომან გოცირიძე) ცუდად გვისო და „ძველი ბურთი“ (ოთარ მელქაძე) ხომ არ აჯობებდაო. ან იქნებ იმას გულისხმობდა, რომ საბაზრო ეკონომიკის ნაცვლად გვემოური ეკონომიკის (შესაბამისი პოლიტიკური ატრიბუტებით) აღდგენა საჭირო?

წერილის შინაარსობრივ მხარეს სხვაგვარად არ შევხვები. ეკონომიკაზე ეკონომისტებმა იდავონ, მე კვლავ რედაქციის მინაწერს მინდა მივუბრუნდე. „ავტორის მოთხოვნით კორექტურული უზუსტობების გამო წერილი იბეჭდება განმეორებით“ — ო გვამცნობენ ჩვენი კოლეგები ამ გინესის წიგნში შესატან ამბავს.

ასეთი პატივი მსოფლიო ლიტერატურის არცერთ კლასიკოსს არ ღირსებია. კორექტურული უზუსტობების გამო არათუ ამხელა მოცულობის წერილი (გაზეთის ერთი გვერდი და კიდევ ერთი სვეტი), არამედ პატარა ლექსიც კი არ გამოუქვეყნებიათ ხელმოწერედ. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ან სიტყვას აწორებენ, ან ფრაზას, ან აბზაცს, ხოლო თუ გამორჩენილია ტექსტიდან ვნა თუ ის ადგილი, იმ გამოტოვებულ წინადადებებს დასტამბავენ ხოლმე სათანადო მითითებებით. აღნიშნულ შემთხვევაში კი მართლაც უპრეცედენტო ჟურნალისტურ რეფორმასთან გვაქვს საქმე...

გაზეთ „თბილისის“ რედაქციას რომ ამ ნაბიჯის გადადგმა იძულებით მოუხდა, ეს ფაქტი, ამ ერთი შეხედვით უწყინარმა ფრაზამ დააფიქსირა — „ავტორის მოთხოვნით“ იბეჭდება.

ერთი შეხედვით კია ეს ფრაზა „წყინარი, მაგრამ რედაქტორის კაბინეტში შესული ავტორის არცთუ მშვიდობიანი სურათის ასოციაციას აღძრავს.

აბა წარმოიდგინეთ განრისხებული ყოფილი კომუნისტი, თანაც კომუნისტური მთავრობის უმაღლეს ემულონებში გამობრძმედილი კაცი, ოთარ მელქაძე რომ დასტყეს — მოვითხოვ!

მოდ და ნუ შეუხრულვებ თხოვნას...

ოთარ მელქაძე



№84 ხულოს საარჩევნო ოლქში, სადაც ჩვენც ვიყარდით კენჭს, როგორც ადგილობრივი დეპუტატობის კანდიდატები, საქართველოს პარლამენტის არჩევნები საარჩევნო დებულების უხეში დარღვევებით ჩატარდა. ამის თაობაზე არ ვაპირებ დიდი ინფორმაციის გაკეთებას ცენტრალურ პრესაში, რადგანაც დღეს საქართველოში ისეთი მძიმე სიტუაციაა, რომ რომელიმე ჩვენთვის მისთვის დეპუტატობა მასთან რამისათვისაა. მთავარი ახლად არჩეულმა პარლამენტმა თავი გაართვა ამ სინდრეებს და ამ გზით როგორმე უშველოს კატასტროფის წინაშე მდგარ ქვეყანას. მაგრამ როგორც საოლქო საარჩევნო კომისიაში, ისე ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა (ცსკ) და საქართველოს პარლამენტის დროებით სამანდატო კომისიაში ისეთ გულგრილობას და საქმის მიფუჩქვების მცდელობას ვაფასებდით, რომ მათზე თვალის დახრება გაუმართლებელია მიგვაჩნია. ამგვარ დეტალებზე ხმის ამოღება საჭიროა თუნდაც იმისათვის, რომ მავანთ მორალური პასუხისმგებლობა მაინც დაეკისროთ, ხოლო ზოგიერთებში არ განმტკიცდეს დაუსჯელობის სინდრომი.

ახლა უშუალოდ საქმეზე. არჩევნების მეორე დღეს — 2 ოქტომბერს №84 ხულოს საოლქო-საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრის წერილობითი ახსნა-განმარტებებიდან ჩვენთვის ცხადი გახდა შემდეგი: არჩევნების დღეს — 11 ოქტომბერს №19 ოქრუაშვილების საარჩევნო უბნიდან დაახლოებით 17 სთ-სა 30 წუთზე საოლქო-საარჩევნო კომისიაში დაურეგულირებლად (იგულისხმება ადგილობრივი დეპუტატობის კანდიდატების ბიულეტენები). ცსკ-ის წარმომადგენელი ქალ-ნი დალი დავითაშვილი თავდაპირველად წინააღმდეგი ყოფილა დამატებითი ბიულეტენების გაცემაზე, მაგრამ გაოქმეული მოლაპარაკების შემდეგ დათანხმებული. აღნიშნული საარჩევნო უბნის ოქმზე აღმოჩნდა ასეთი გადასწორება: 660 (თავდაპირველად გატანილი ოქმების რაოდენობა) გადააკეთებულა 558-ად (მინუს 122 ბიულეტენი, რასაც ითხოვდნენ საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრები).

აქვე შევიხსენებ, რომ აღნიშნულ უბანში საბოლოოდ გამოცხადდა 451 ამომრჩეველი. ე.ი. დაკლებების შემთხვევაშიც კი ხელთარსებული ბიულეტენებიდან 107 ბიულეტენი ზედმეტი რჩებოდა (558—451). თუ ვთვლით, რომ იმის, რომ ბიულეტენები მოთხოვნილი იქნა სადამოთო, როცა ხმის მიცემა თითქმის დამთავრებული იყო და ამასთან აღნიშნულ უბანში ხმები განაწილდა ხელისუფლების სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ (318 წინააღმდეგ 88-სა და 23-ისა), მაშინ ეჭვისთვის საფუძველი ნამდვილად ჩნდება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩვენი წარმომადგენელი ექვს გამოთქვამდნენ №12, 15, 21, 29, 32 და 41 საარჩევნო უბნებში ჩატარებულ არჩევნებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ არჩევნების წინა დღეს — 10 ოქტომბერს, დეპუტატობის ერთ-ერთმა კანდიდატმა კონსპირაციულად, ხელისუფლებისათვის სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ მოხსნა თავისი კანდიდატურა. ამის შესახებ კი საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არც დეპუტატობის კანდიდატები ჩაგვაცხადა საქმის კურსში და არც ზოგიერთი საარჩევნო უბნების საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები. ჩვენს შეკითხვაზე იგი მხოლოდ ერთ პასუხს იძლეოდა — „დამაიწყდით“.

საერთოდ, როგორც აჭარის, ისე არაონის ადგილობრივი ხელისუფლება წინასაარჩევნო კამპანიაში და არჩევნების დღეს დაუფარავად იბრძოდა ჩვენს წინააღმდეგ. ამ ბრძოლის დაგვირგვინება იყო აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ტელეგამოსვლა არჩევნების დღეს. მან თავის ხანგრძლივ ტელე-ინტერვიუში, საარჩევნო დებულების უხეში დარღვევით მოახდინა ბლოკ „11 ოქტომბრის“ დეპუტატობის კანდიდატო დისკრედიტაცია. უწოდებ მათ „უსამართლო“, „ამორალურ“, „პოპულისტურ“ და ა.შ. მან პოლიტიკურ მოღვაწეთა პალატებზე და წინააღმდეგ (არ ვხუბ-

რობთ) უფრო მეტ ღილაპარაკა, ვიდრე არჩევნებზე. თავის ობოზიციონერებს კი საქართველოს მტრები უწოდებდა. თუმცა საქართველოს ამ „გულმხურვალე“ პატრიოტმა, ვისაც თავისი თავი, თავისი გენეტიკური კოდით საქართველოსათვის ძნელბედობის ჯამს საგანგებოდ მოვლენილ მესიად მიიჩნია, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის პირველსავე შეკრებას უგანა და თბილისში არ იწემა ჩამოსვლა. სხვათაშორის, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თავის თითქმის ყოველ გამოსვლაში ატარებს აბსურდულ ლაზრ მისი და მისი წინაპრების რაღაც გამოჩენილ, განგებებს მიერ წინასწარ განზრახულ მესიანურ როლზე საქართველოს წინაშე. დიდი ხანია ისმენს თუ კითხულობს ქართველი კაცის ამ თითქმის გამოწოვილ ზღაპარს, განმკითხავი კი არაივინაა.

ხულოში ხელისუფლებისათვის არასასურველი კანდიდატების წინააღმდეგ ბრძოლის ენერგიულად და საკმაოდ უღირსად ხელმძღვანელობდა აჭარის მინისტრთა საბჭოს რწმუნებული ხულოს რაიონში ასლან გელაძე. იგი ძველი კო-

ოქტომბრით და მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე ქალ-ნი თამარ აბულაძე და კომისიის მდივანი ბ-ნი ზაზა თავართქილაძე.

მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატი ხაზგასმითაა აღნიშნული თბილისიდან კომისიის ჩამოსვლაზე არჩევნების შედეგების საბოლოო შეჯამების შეუძლებლობა, 14 ოქტომბერს კომისიის შემჯამებელი სხდომა მაინც ჩატარდა. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი სხდომას არ ჰქონდა უფლებამოსილება, ვინაიდან თავდაპირველად სხდომას ესწრებოდა 12-დან 7 წევრი (ორ მესამედზე ნაკლები) და კვირეში არ იყო. მიუხედავად, რომ პროტესტის ნიშნად კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ოთარ აბულაძემ პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა. ამასთან მან კომისიის თავმჯდომარეს წერილობით გადასცა თავისი „განსაკუთრებული აზრი“ (სარჩევნო დებულების მე-19 მუხლის შესახებ), რაც ძირითადად გულისხმობდა, რომ, როცა განხილული არ იყო ჩვენი პრეტენზიები, ცსკ-დან გამოთხოვილი იყო კომისია, არ იყო კვირეში და ამდენად შემაჯამებელი სხდომა არ იყო

აღუბამოსილი. 14 ოქტომბერს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თაბულაძე, მისი მოადგილე ნ. შავაძე შემაჯამებელი ოქმითა და ო. აბულაძის „განსაკუთრებული აზრით“ თბილისში გამოემგზავრნენ და 15 ოქტომბერს წარსდგნენ ცსკ-ის წინაშე.

ჩვენგან ერთმა — მ. მახარაძემ შემთხვევით გაიგო, რომ 15 ოქტომბერს ცსკ-ში გადიოდა ჩვენი საკითხი. აღნიშნული კომისიის სხდომას დაესწრნენ ხულოს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თაბულაძე, მისი მოადგილე ნ. შავაძე, მ. მახარაძე და უკვე საქართველოს პარლამენტის წევრი თამაზ დიასამიძე (ბლოკ „11 ოქტომბრის“ წარმომადგენელი, მ. მახარაძისა და ბ. გობაძის ინტერესების დამცველი).

ცსკ-ის იურიდიულმა განყოფილებამ ვერ დააკმაყოფილა დაინტერესებულ პირთა პრეტენზია უკვე აღნიშნული ერთ-ერთი დეპუტატობის კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის კონსპირაციულად მოხსნის მართებულობა არამართებულობის შესახებ და შუა გზაზე შეწყვიტა მსჯელობა. იურიდიულმა განყოფილებამ საერთოდ არ გახადა მსჯელობის საგანად ცსკ-ის წარმომადგენლის დ. დავითაშვილის მიერ ხულოს საარჩევნო ოლქიდან 12 ოქტომბერს ყოველგვარი ოქმების წაშლივების მცდელობის ფაქტი, როცა მხოლოდ ცსკ-ის ჩარევის შემდეგ დააბრუნებინეს მას გზიდან ოქმების შეკრა. არადა საერთო ტენდენციის გამოსავლენად როგორც ერთ, ისე მეორე ფაქტზე რეაგირება აუცილებელი იყო.

ცსკ-ის სხდომაზე ხანგრძლივი განსჯის საგანი გახდა 120 ბიულეტენის საკითხი, სადაც №19 საარჩევნო უბანში. საბოლოოდ კენჭი უყარეს დალუქული ბაჰეტის გახსნას აღნიშნულ უბანში კომისიის 11 წევრი დაეთანხმა გახსნას, 10 წინააღმდეგი წავიდა, ხოლო 4-მა თავი შეიკავა. რეგლამენტით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ცსკ-ის იურიდიული განყოფილება ხელმძღვანელობდა ხულოს საოლქო-საარჩევნო კომისიის ოქმების, სადაც უარია ნათქვამი ჩვენს პროტესტებზე. სინამდვილეში კი კომისიის არ უმსჯელია ამ პროტესტებზე, რაც კარგად ჩანს მათი დებულებიდან. ისიც ფაქტია, რომ ცსკ-ის სხდომაზე მიჩქმალული იყო საარჩევნო ოლქის

სხდომის უფლებამოსილების საკითხი. რის შესახებაც შემდგომ გახდა ცნობილი კომისიის წევრის ო. აბულაძისთან სატელეფონო საუბრით.

აღნიშნული სატელეფონო საუბრიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა ო. აბულაძის „განსაკუთრებული აზრის“ შესახებ, რის თაობაზეც გვქონდა უკვე საუბარი და რომელიც ქალ-მა თაბულაძემ დაუშალა ცსკ-ს. ო. აბულაძემ 16 ოქტომბერს ტელეფონოგრაფით აცნობა ცსკ-ს მისი „განსაკუთრებული აზრის“ შინაარსი. ტელეფონოგრაფი ცენტრალურმა ტელეგრაფმა მიიღო იმავე დღეს 17 სთ-სა და 50 წუთზე. იმის მიუხედავად, რომ ტელეფონოგრაფი სასწრაფო იყო, იგი ცსკ-მ მიიღო მხოლოდ მეორე დღეს 13 საათზე.

დავიწყეთ ო. აბულაძის „განსაკუთრებული აზრის“ დამადასტურებელი დოკუმენტის მოძიება. ქალ-მა თაბულაძემ გვითხრა, რომ მან ეს დოკუმენტი 15 ოქტომბერს ჩააბარა ცსკ-ის კანცელარიაში. თუმცა ასეთი დოკუმენტი კანცელარიაში არ აღმოჩნდა რეგისტრირებული, რაც დადასტურა ცსკ-მ 3 ნოემბერს გაცემული ცნობა.

ამავე დღეს აღნიშნული ცნობა „აღმოჩნდა“ სულ სხვა დოკუმენტებში ყოველგვარი საკანცელარირი რეკვიზიტის გარეშე. კერძოდ, ეს დოკუმენტი აღმოჩნდა ცსკ-ის წარმომადგენლის დ. დავითაშვილის სამიწივებო და მოხსენებით ბარათებში, რომლებიც დათარიღებულია 14 ოქტომბრით. თუ რატომ მალაქდნენ ასე ამ დოკუმენტს ამაზე პასუხი მკითხველისათვის მიგვიღია.

16 ოქტომბერს ჩვენ შევიტანეთ პროტესტი ცსკ-ის იურიდიული განყოფილების გადაწყვეტილების თაობაზე. ცსკ-მ პროტესტი არ განიხილა.

საბოლოოდ შეიძლება ასე დავაკონკრეტოთ საარჩევნო დებულების უხეში დარღვევები საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით №84 ხულოს საარჩევნო ოლქში:

1. საოლქო საარჩევნო კომისიამ საერთოდ არ განიხილა დეპუტატობის კანდიდატის პროტესტი და არ გასცა მათ შესახებ ცნობები.

2. საოლქო საარჩევნო კომისიამ ისე ჩაატარა შემაჯამებელი სხდომა, რომ კვირეში არ ყოფილა.

3. კომისიის თავმჯდომარემ თაბულაძემ ცსკ-ს დაუშალა კომისიის წევრის ო. აბულაძის „განსაკუთრებული აზრი“, რაც საარჩევნო დებულების უხეში დარღვევაა.

4. რაც საარჩევნო უბნებში, განსაკუთრებით კი №19 ოქრუაშვილების საარჩევნო უბანში აშკარა იყო ბიულეტენების გაყალბება. 5. ცსკ-ის იურიდიული განყოფილება, რადგანაც მოკლებული იყო ინფორმაციას ხულოს საარჩევნო ოლქში დარღვევების შესახებ, ამიტომაც არასწორი გადაწყვეტილება მიიღო.

გარდა ამ უხეში დარღვევებისა, იყო სხვა სახის დარღვევებიც, რომლებიც საერთო ტენდენციას აჩვენებს და ვარკვევით გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე. ამ დარღვევებზე უკვე გვქონდა საუბარი და მერტად არ ღირს მათზე შეჩერება.

ყველაფერი ეს შეიკრა ერთ მთლიან განცხადებად საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დროებით სამანდატო კომისიის სახელზე. განცხადებას თან ერთვის 20-ზე მეტი დოკუმენტი ხულოს საოლქო-საარჩევნო კომისიისა, ცსკ-დან და აჭარის დეპუტატების ასლები. იმის გამო, რომ ამ დროისათვის არ ვიყავით თბილისში, მასალები წესრიგში მოიყვანა

და განცხადება შეადგინა პარლამენტის წევრმა, ჩვენი ინტერესების დამცველმა ბატონმა თამაზ დიასამიძემ, რაც სათანადოდ დასაჯულია და განცხადებაში.

5 ნოემბერს ჩვენი განცხადების საფუძველზე შეიკრიბა პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისია, ამ შეხვედრას ჩვენი მხრიდან ესწრებოდა ბატონი თ. დიასამიძე, ხოლო კონკურენტის მხრიდან თვითონ და აჭარის დეპუტატის რამდენიმე წარმომადგენელი (ძირითადად ბლოკ „მშვიდობის“ წარმომადგენლები, რომელიც ბლოკის ინტერესებსაც გამოხატავდა ჩვენი კონკურენტისა). საკმაოდ მწვევე კამათის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ 7 ნოემბერს 14 საათზე დროებითი სამანდატო კომისიის სხდომაზე განხილულიყო ჩვენი საჩივარი და სხდომას უნდა დასწრებოდნენ დაინტერესებული მხარეები. მაგრამ იმავე დღეს (ე.ი. 5 ნოემბერს) ტელეფონიდან გავიგეთ, რომ დროებითმა სამანდატო კომისიამ გააკეთა წარდგინება და პარლამენტის თავმჯდომარემაც დაამტკიცა წარდგინება №84 ხულოს საარჩევნო ოლქში დეპუტატის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

რატომ დაირღვა შეთანხმება? როგორც შემდეგ გახდა ჩვენთვის ცნობილი, მოტივად დაუსახებლობით განცხადებაზე ჩვენი ხელმოწერების დაუდასტურებლობა. ვერაფერი მოტყვივა. ერთერთი ჩვენსაგანი ამ დროს პარლამენტის მოსაცდელში იყო და სულ ადვილად შეიძლებოდა შემოწმება იმისა, ვაწერდით თუ არა ხელს თ. დიასამიძის შედგენილ განცხადებაზე. მიუხედავად, რომ განცხადება არსებითად ჩვენს პროტესტებსა და ცსკ-ში მიმართულ ჩვენსავე საჩივარს ემყარებოდა.

საფიქრებელია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენა მოახდინა იმ გარემოებამაც, რომ აჭარის დეპუტატის წარმომადგენლები, რომლებიც ამ შეხვედრას ესწრებოდნენ ბლოკ „მშვიდობის“ წარმომადგენლები არიან და ისინი ბუნებრივია მხარს უჭერდნენ ამ ბლოკში შეთავაზო „სრულიად საქართველოს აჭარის აღორძინების კავშირის“ წევრს, ჩვენს კონკურენტს. ჩვენ ამ ბლოკ „11 ოქტომბრის“-ს ინტერესების დამცველები ვიყავით. არჩევნებში კი ამ ორ ბლოკს შორის აჭარაში „სამეკრო-სახიფოცლო“ ბრძოლა იყო გაჩაღებული.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ქალ-ნი ლუიზა შაკიაშვილიც ბლოკ „მშვიდობის“ წარმომადგენელია.

სინანულით შევნიშნავთ, რომ ქალ-ნი ლუიზა შაკიაშვილი, რომელიც თვითონ არაერთხელ ყოფილა უსამართლობის მსხვერპლი, არ დაინტერესდა საქმის ნამდვილი შინაარსით, არ შეგვხვდა დინტერესებულ პირებს და არ ცხადა სიმართლის ბოლომდე გავგება. ალბათ ამ შემთხვევაშიც შედეგი იგივე იქნებოდა, თუმცა ჩვენ დაინებავდით, რომ ვიღაც დაინტერესებულია სიმართლის დადგენით. როგორც ჩანს ამ კონკრეტულ შემთხვევაში მან პარტიული ინტერესები ჰეშმარტებზე მალა დააყენა.


P.S. როგორც კი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე გამოცხადდა, რომ გასაკრევა №84 ხულოს საარჩევნო ოლქში დეპუტატის უფლებამოსილების ცნობის საკითხი, იმ დამსვე ყოფილა მცდელობა საარჩევნო ოლქში შენახული დალუქული საარჩევნო მასალების ხელყოფისა. ეს ფაქტიც გავფიქრებინებთ, რომ ჩვენს მიერ დაწერილ პროტესტებსა და განცხადებებზე სათანადო ინსტრუქციის მხრიდან ბუნდოვანი რეაგირება მხოლოდ გულგრილობისა და საქმის მიფუჩქვების შედეგი არ უნდა იყოს.

ბეჰანი გომბაძე — აჭარის უზენაესი საბჭოს წევრი

მიხეილ მახარაძე — ფილოსოფიის ინსტიტუტის მთავარი

შეინერი-თანამშრომელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი.

გულგრილობას, დაუღვპრობას და უფრო მეტი!



მეკავშირელია, კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი, მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლა აქვს დამთავრებული (თუმცა დღეს ეს უკვე ნაქვად კი არა, ლამის ღირსებად ითვლება). რაც მთავარია ა. გელაძე აჭარის უზენაესი საბჭოს წევრთა იმ მორჩილ უმრავლესობას მიუკუთვნება, ვინც ამომრჩეველთა დეპუტატობაზე, პატრონის მითითებით მოიხსნა თავისი სადებუტატო უფლებამოსილება. ზემოაღნიშნული საარჩევნო დებულების დარღვევების შესახებ თავის დროზე, 12 ოქტომბრის 18 საათამდე დაიწერა პროტესტები, საჩივრები, ახსნა-განმარტებები, როგორც ჩვენს მიერ, ისე ჩვენი ნდობით აღჭურვილი პირებისა და საოლქო-საარჩევნო კომისიის ორი წევრისაგან. გამოგზავნილი იქნა აგრეთვე დეპეშები ცსკ-ში.

საოლქო-საარჩევნო კომისიამ საერთოდ არ განიხილა ჩვენი პროტესტები და ბუნებრივად ამის თაობაზე არც სათანადო დოკუმენტები შეუქმნია და გაუცხა.

საოლქო-საარჩევნო კომისიის ზემოაღნიშნული ვერ დაგვაკმაყოფილა, შეიქმნა გაუგებრობა, რის გამოც ვეღარ ვამდებოდა არჩევნების საბოლოო შედეგები. ამიტომაც საარჩევნო კომისია იძულებული შეიქნა მიემართა ცსკ-თვის დეპეშით, შემდეგი ტექსტით:

„თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

12 ოქტომბერს, არჩევნების მეორე დღეს შემოვიდა დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატების მიხედვით მახარაძის და ბეჯია გობაძის საპროტესტო განცხადებები, სადაც აღნიშნულია, რომ მოხდა არჩევნების დებულების უხეში დარღვევა, როგორც საოლქო-საარჩევნო კომისიაში, ისე ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიაში. დაკარგული იქნა უბნებში ბიულეტენები, ამიტომ მ. მახარაძე და ბ. გობაძე ეჭვობენ არჩევნების შედეგებზე. იმის გამო, რომ პრეტენზია აქვთ თვით საოლქო საარჩევნო კომისიაზე, რკმაყოფილებიან მათ მიერ შემოტანილ განცხადებებზე ჩვენს მიერ გაცემული პასუხებით. ამიტომ გთხოვთ სასწრაფო გამოგზავნოთ თქვენი კომისია, რათა შეისწავლოს მათი მიერ შემოტანილ განცხადებებში მოყვანილი ფაქტები.

თქვენი კომისიის ჩამოსვლაზე და საოლქო კომისიის საბოლოო შედეგებს ვერ აჯამებს.“

დეპეშა დათარიღებულია 13

რუსული ტელევიზიის, რუსი პოლიტიკოსებისა თუ სამხედროების მაყურებლები თითქოს აღარაფერმა უნდა გაგვაკვიროს (ეს ბოლო წლები ხომ, რეფლექსამომუშავეები, ლამის „სპორტული ინტერესით“ ვხვდებით ყოველ ცისმარეს, აბა, დღეს რითი „გაგზარებენ“), მაგრამ 2 ნოემბერს „ნოვოსტიში“ რუსეთის თავდაცვის მინისტრის, გენერალ გრაჩოვის სალდაფონურმა განცხადებამ, — თუ ქართველები ახალციხეში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საბრძოლო მასალის საწყობს დაუყოვნებლივ არ დაუბრუნებენ მის კანონიერ მფლობელს, ჩვენი ჯარები ამ საწყობის დებლოკირებისათვის ძალას გამოიყენებენ, კერძოდ, არტილერიას, ჯავშანტექნიკას, ავიაციასო, — ყოველგვარ მოლოდინს არა, მაგრამ ვიცქვრები დენტ რუსეთის მსგავს „დაპირებასაც“ კი გადააჭარბა (როგორც ცნობილია, არცთუ დიდი ხნის წინ „ავღანელი“-კომუნისტი-„დემოკრატი“-„პატრიოტი“-„აგარანიკი“ რუსეთში მხოლოდ თვითმფრინავების პაერში, საქართველოს პაერში-ამეხებით იმუქრებოდა).

გულბრყვილად რომ ითქვას, რა იყო ასე გასაკვირებელი?! ეს საწყობი ხომ საქართველოს ტერიტორიაზეა! ამგვარი საწყობების, საერთოდ საბჭოთა არმიის მშენებლობაში საქართველოსაც ხომ შექმნა და ათეულობით წლების განმავლობაში არცთუ უმნიშვნელო წვლილი! და ახლა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის „განქორწინების“ შემდეგ, როცა ყოველი, აწუკვე დამოუკიდებელი რესპუბლიკა ყოფილი საერთო სამხედრო ქონებიდან თავის წილს იღებს (უნდა იღებდეს), ქართველმა გვარდიელებმა აიღეს ის (რაკიღა ნებით ვერ მიიღეს), რაც დაუწერელი თუ დაწერილი კანონით ეკუთვნის (ამ უკანასკნელში იგულისხმება ყოფილი უზენაესი და სახელმწიფო საბჭოების დადგენილებანი საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის სამხედრო ბაზების, ქონების ნაციონალიზაციის შესახებ)!...

და აქ, ადამიანს, არ შეიძლება ასეთი კითხვები არ გაუჩნდეს — კარგი, ბატონო, ცრემლები ან იყოს, კანონისა და სამართლიანობისა მოსკოვს რომ არ სჯერა და სწამს, ცნობილი და გასაკვირია, მაგრამ, დავიჯეროთ, იმ „დალოცვილებს“ აქამდე არ გაუგიათ ახალციხის აქციის მსგავსი (და უარესი) ამბები თითქმის ყოველდღიურად რომ ხდებოდა და ხდება თითქმის ყველა რესპუბლიკაში?! ლამის მთელი არმიების სამყოფ ტყვია-წამალს, ტანკებს, ჯავშანტექნიკას, გემებს, თვითმფრინავებს რომ იგდებენ ხელში, როგორც მოეხასიათებათ?!

კი, რასაკვირველია, ხშირად ეს ხელში ჩაგდება ინსცენირებული ანუ „იქ“ შეთანხმებული-გარიგებულია ხოლმე, მაგრამ „უკანონობასთან მებრძოლ“ გრაჩოვსა და კომპანიას ერთხელ მაინც, თუნდაც, „ზრდილობისათვის“, ხალხის დასანახად არ უნდა წაყვებინათ ზემოაღნიშნულის მსგავსი ულტიმატუმი „კანონის“ არაქართველი დამრღვევებისათვის?! რატომ არის, რომ დასჯის სასაბაბო შემთხვევების დროს მართლაც შემთხვევას არ უშვებენ, რომ ბარბაროსულად არ გამოუღონ სისხლი სწორედ საქართველოს (გავიხსენოთ თუნდაც, ჩვენი რატომღაც „ინციდენტად“ მონათლული, მიფუჩეჩებული ვანდალური ანგარიშსწორება გორში, როცა მთელ ქალაქს გადაუარეს ტანკებით. აღარაფერს ვამბობ აფხაზეთზე, სადაც უკვე ყოველგვარი საბაბის გარე-

ნებენ ბალტიის ქვეყნებშიც)...

ქართველოფობიის ცყვეობაში

ფელიქს კოშიაშვილი

შე აშკარად გამოუცხადებელი მსგავსი რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ?!

არადა, ფაქტია, რომ რუსის ჯარი ყველა რესპუბლიკას შორის ყველაზე კარგად თავს სწორედ საქართველოში გრძნობს! მართალია, ბოლო ხანს აქაც განიცდიან ერთგვარ დისკომფორტს, მაგრამ რა შედარებაა იმასთან, რაც სხვაგან ხდება. ხოლო რა ხდება, ამაზე ეს მაგალითიც კარგად მეტყველებს:

რამდენიმე ხნის წინ მოსკოვის ტელევიზიით აჩვენეს სომხეთში რუსის ჯარის სამინიწილი ყოფისადმი (წამყვანის ტერმინია) მიძღვნილი გადაცემა. გამოდიოდნენ ოფიცრები, მათი ცოლები და სასოწარკვეთილები ყვებოდნენ, რომ ფაქტობრივად მძევლების, პატიმრების მდგომარეობაში არიან, ყაზარმებიდან ცხვირს ვერ ყოფენ გარეთ, არ აწვდიან დენს, წყალს, სათბობს, ართმევენ იარაღს, პირად ქონებას, უვარდებიან ყაზარმებსა და ოჯახებში, ძალადობენ ქალებზე... გვიშველეთ, გაგვიყვანეთ როგორმე ამ ჯოჯოხეთიდან! — იხვეწებოდნენ „მძევლების სტატუსიანი“ (ესეც წამყვანის ირონიული ტერმინია) სამხედროები...

ულტიმატუმებს, მუქარას, ძალას კი საქართველოს წინააღმდეგ მიმართავენ (რასაკვირველია, სულაც არ მოეუწოდებ სხვაგანაც, სხვების მიმართაც მსგავსი „მიმართულებებისკენ“, უბრალოდ, როგორც იტყვიან, ფაქტის კონსტატირებას ვახდენ).

პარადოქსული სიტუაციაა, ხომ?! ხოლო თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოდ საქართველო, ჩვენი ხელისუფლების განცხადებებითაც და რეალურადც რუსეთისადმი ერთი ყველაზე ლოიალურად განწყობილი, მასთან ახლო, განსაკუთრებული, სამოკავშირეო ურთიერთობის მაძიე-

ბელი ქვეყანაა, სიტუაციის პარადოქსულობა კიდევ უფრო ძლიერდება, საქართველოსადმი, ქართველობისადმი რუსეთის „გამორჩეული“, ძალადობრივი პოლიტიკა ლოგიკას არ ექვემდებარება, ძნელად ასახსნელი ხდება.

როგორია, იმის მაგივრად, რომ „ერთი-ორი ტკბილი სიტყვით“, თუნდაც მხოლოდღა არამტრული დამოკიდებულებით, თითქმის „მუქთაღ“ ერთგული მოკავშირე ქვეყანა იყოლიოს გვერდით (რისკენაც ასე ხაზგასმულად მიისწრაფვის ჩვენი ხელისუფლება), პირიქით, მტრად იკიდებს, რითაც, საკუთარ ინტერესებსაც აზარალებს — ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე მოვლენები, ისლამური ფუნდამენტალიზმი ხომ თავად რუსეთსაც ემუქრება. და ამ სიტუაციაში დაშლილ-დაუძღვრებულ საქართველოზე მეტად ერთიანი, ძლიერი, მოკავშირე საქართველოს არსებობა რომ რუსეთისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელია, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა?!

მაგრამ, არა, არ ხედებიან ამას. გონდაკარგულის გაბოროტებით ექცევიან საქართველოს და ქართველობას. რასაც სხვებისაგან „გადაყლაპავენ“, იმის მეთათვისაც არ არჩევენ ქართველებს. სხვების მიერ მთელი ესკადრილების ექსპრობრიაციასზე ხმასაც რომ არ

იღებენ, საქართველოში ერთი „უაზის“ გატაცებისას, მზად არიან ხმალი იმიშვლონ!

რატომ ხდება ასე? თქმა არ უნდა, აქ შეიძლება გამეჩაღებინა ფართო, დრამაზროვანი მსჯელობა (როგორც ზღვება კი-დედამიწის პრეპარატი — შემდეგ „დაიდ საბჭოთა ხალხში“ შერწყმა... თავისი „პრიმიტიული ენა“ ერჩინა „პუშკინისა და ლენინის ენას“... რატომღაც „მიწვიერ სამოთხეში“ ცხოვრობდა უშრომლად და უზრუნველად, ფული ჩეჩქვით ჰქონდა, ქეიფისა და დროსტარების მეტს არაფერს აკეთებდა... დერუადაც გაქცევაზე ეჭვირა თვალის...)

ამას დაუშვალეთ — სტალინისა და ბერიას ქართველობა! ის, რომ რუსეთში ერთობ თავმოსაწონებელი იმპერიის დაშლას რატომღაც თითქმის ისევ ქართველს — ედუარდ შევარდნაძეს აბრალებენ (თითქოს ერთ კაცს — სავარეო საქმეთა მინისტრს, შეემლო თვითნებურად გამოეყვანა ჯარები ავღანეთიდან და აღმოსავლეთ გერმანიიდან, გაერთიანებინა გერმანია და ა.შ.)... ერთი სიტყვით, ლამის თავის ყველა უბედურებაში, ებრაელებთან ერთად ქართველებს ადანაშაულებენ (ჯერ კიდევ ნაპოლეონს უთქვამს, ებრაელები რომ არ ყოფილიყვნენ, მათი გამოგონება დაგვიჭირდებოდაო, მხედველობაში ჰქონდა რა, რომ ადვილი და მომგებიანია საკუთარი ყველა უბედურების მიზეზების სხვებისათვის „აკიდება“).

შესაბამისად — გასაგებია, ქართველობის მიმართ თუ როგორი „კეთილი გრძნობებით“ იყვნენ და არიან გამსჭვალულნი, თუ რატომაა ესოდენ ფართოდ გავრცელებული, მათ შორის ხელისუფლების ეშელონებში, ქართველთაგან...

აგერ უკვე ორი საუკუნეა, თითქმის მთელი რუსეთი, „ქართველური სინდრომის“ ტყვეობაშია, ქართველებითაა „უნდა აიხსნას, მათი, როგორც ითქვა, ხშირ შემთხვევაში აუხსნელი, ულოგიკო, წამგებიანი ანტიქართული, აგრესიული პოლიტიკა. ემიგრირებ, ამგვარი წამმართველი, შეიძლება ითქვას, ინსტინქტები, შესაძლოა სათანადოდ არც კი ჰქონდეთ გაცნობიერებულ-გააზრებული.

და რაც უფრო მალე გაიცნობიერებ-გაიაზრებენ, და რაც მთავარია, უკუაგდებენ ამ ინსტინქტებს (და შესაბამისად — უარს იტყვიან ანტიქართულ პოლიტიკაზე), მით უკეთესი იქნება არა მარტო საქართველოსათვის, პირველ ყოვლისა, ისევ მათთვის, მათი ქვეყნის, ხალხის ჭეშმარიტი ინტერესებისათვის!...

და რაც უფრო მალე გაიცნობიერებ-გაიაზრებენ, და რაც მთავარია, უკუაგდებენ ამ ინსტინქტებს (და შესაბამისად — უარს იტყვიან ანტიქართულ პოლიტიკაზე), მით უკეთესი იქნება არა მარტო საქართველოსათვის, პირველ ყოვლისა, ისევ მათთვის, მათი ქვეყნის, ხალხის ჭეშმარიტი ინტერესებისათვის!...

გადიოდა დრო, იცვლებოდა ეპოქები, წყობა, პოლი-

ტიკა... არ იცვლებოდა შეხედულება ქართველობისადმი, როგორც ურჩ ერზე (რასაც ხელს უწყობდა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა), რომელსაც რატომღაც მაინცდამაინც არ ეხალისებოდა — ჯერ პირდაპირ გარუსება — შემდეგ „დაიდ საბჭოთა ხალხში“ შერწყმა... თავისი „პრიმიტიული ენა“ ერჩინა „პუშკინისა და ლენინის ენას“... რატომღაც „მიწვიერ სამოთხეში“ ცხოვრობდა უშრომლად და უზრუნველად, ფული ჩეჩქვით ჰქონდა, ქეიფისა და დროსტარების მეტს არაფერს აკეთებდა... დერუადაც გაქცევაზე ეჭვირა თვალის...)

ამას დაუშვალეთ — სტალინისა და ბერიას ქართველობა! ის, რომ რუსეთში ერთობ თავმოსაწონებელი იმპერიის დაშლას რატომღაც თითქმის ისევ ქართველს — ედუარდ შევარდნაძეს აბრალებენ (თითქოს ერთ კაცს — სავარეო საქმეთა მინისტრს, შეემლო თვითნებურად გამოეყვანა ჯარები ავღანეთიდან და აღმოსავლეთ გერმანიიდან, გაერთიანებინა გერმანია და ა.შ.)... ერთი სიტყვით, ლამის თავის ყველა უბედურებაში, ებრაელებთან ერთად ქართველებს ადანაშაულებენ (ჯერ კიდევ ნაპოლეონს უთქვამს, ებრაელები რომ არ ყოფილიყვნენ, მათი გამოგონება დაგვიჭირდებოდაო, მხედველობაში ჰქონდა რა, რომ ადვილი და მომგებიანია საკუთარი ყველა უბედურების მიზეზების სხვებისათვის „აკიდება“).

შესაბამისად — გასაგებია, ქართველობის მიმართ თუ როგორი „კეთილი გრძნობებით“ იყვნენ და არიან გამსჭვალულნი, თუ რატომაა ესოდენ ფართოდ გავრცელებული, მათ შორის ხელისუფლების ეშელონებში, ქართველთაგან...

გადიოდა დრო, იცვლებოდა ეპოქები, წყობა, პოლი-

ტიკა... არ იცვლებოდა შეხედულება ქართველობისადმი, როგორც ურჩ ერზე (რასაც ხელს უწყობდა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა), რომელსაც რატომღაც მაინცდამაინც არ ეხალისებოდა — ჯერ პირდაპირ გარუსება — შემდეგ „დაიდ საბჭოთა ხალხში“ შერწყმა... თავისი „პრიმიტიული ენა“ ერჩინა „პუშკინისა და ლენინის ენას“... რატომღაც „მიწვიერ სამოთხეში“ ცხოვრობდა უშრომლად და უზრუნველად, ფული ჩეჩქვით ჰქონდა, ქეიფისა და დროსტარების მეტს არაფერს აკეთებდა... დერუადაც გაქცევაზე ეჭვირა თვალის...)

ამას დაუშვალეთ — სტალინისა და ბერიას ქართველობა! ის, რომ რუსეთში ერთობ თავმოსაწონებელი იმპერიის დაშლას რატომღაც თითქმის ისევ ქართველს — ედუარდ შევარდნაძეს აბრალებენ (თითქოს ერთ კაცს — სავარეო საქმეთა მინისტრს, შეემლო თვითნებურად გამოეყვანა ჯარები ავღანეთიდან და აღმოსავლეთ გერმანიიდან, გაერთიანებინა გერმანია და ა.შ.)... ერთი სიტყვით, ლამის თავის ყველა უბედურებაში, ებრაელებთან ერთად ქართველებს ადანაშაულებენ (ჯერ კიდევ ნაპოლეონს უთქვამს, ებრაელები რომ არ ყოფილიყვნენ, მათი გამოგონება დაგვიჭირდებოდაო, მხედველობაში ჰქონდა რა, რომ ადვილი და მომგებიანია საკუთარი ყველა უბედურების მიზეზების სხვებისათვის „აკიდება“).

შესაბამისად — გასაგებია, ქართველობის მიმართ თუ როგორი „კეთილი გრძნობებით“ იყვნენ და არიან გამსჭვალულნი, თუ რატომაა ესოდენ ფართოდ გავრცელებული, მათ შორის ხელისუფლების ეშელონებში, ქართველთაგან...


გადიოდა დრო, იცვლებოდა ეპოქები, წყობა, პოლი-

ტიკა... არ იცვლებოდა შეხედულება ქართველობისადმი, როგორც ურჩ ერზე (რასაც ხელს უწყობდა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა), რომელსაც რატომღაც მაინცდამაინც არ ეხალისებოდა — ჯერ პირდაპირ გარუსება — შემდეგ „დაიდ საბჭოთა ხალხში“ შერწყმა... თავისი „პრიმიტიული ენა“ ერჩინა „პუშკინისა და ლენინის ენას“... რატომღაც „მიწვიერ სამოთხეში“ ცხოვრობდა უშრომლად და უზრუნველად, ფული ჩეჩქვით ჰქონდა, ქეიფისა და დროსტარების მეტს არაფერს აკეთებდა... დერუადაც გაქცევაზე ეჭვირა თვალის...)

ამას დაუშვალეთ — სტალინისა და ბერიას ქართველობა! ის, რომ რუსეთში ერთობ თავმოსაწონებელი იმპერიის დაშლას რატომღაც თითქმის ისევ ქართველს — ედუარდ შევარდნაძეს აბრალებენ (თითქოს ერთ კაცს — სავარეო საქმეთა მინისტრს, შეემლო თვითნებურად გამოეყვანა ჯარები ავღანეთიდან და აღმოსავლეთ გერმანიიდან, გაერთიანებინა გერმანია და ა.შ.)... ერთი სიტყვით, ლამის თავის ყველა უბედურებაში, ებრაელებთან ერთად ქართველებს ადანაშაულებენ (ჯერ კიდევ ნაპოლეონს უთქვამს, ებრაელები რომ არ ყოფილიყვნენ, მათი გამოგონება დაგვიჭირდებოდაო, მხედველობაში ჰქონდა რა, რომ ადვილი და მომგებიანია საკუთარი ყველა უბედურების მიზეზების სხვებისათვის „აკიდება“).

შესაბამისად — გასაგებია, ქართველობის მიმართ თუ როგორი „კეთილი გრძნობებით“ იყვნენ და არიან გამსჭვალულნი, თუ რატომაა ესოდენ ფართოდ გავრცელებული, მათ შორის ხელისუფლების ეშელონებში, ქართველთაგან...

გადიოდა დრო, იცვლებოდა ეპოქები, წყობა, პოლი-



ბაზაში „საქართველოს“ ა.წ. 42-ე ნომერში (16—23 ოქტომბერი) გამოქვეყნდა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებელთა ერთი ჯგუფის კოლექტიური წერილი სათაურით: „რატომაც იძულებული ბ-ნი მიხეილ მახარაძე სხვისი საოქმელი თქვას“, რომელსაც ამავე გაზეთის მომდევნო ნომერშივე მოჰყვა ბ-ნ მ. მახარაძის საპასუხო წერილი: „კოლექტივო, მხარი მხარს!“ ვინაიდან ორივე წერილის რამოდენიმე ეპიზოდში მეც ვარ ნაგულისხმევი, თავს ვალდებულად ვთვლი დავაზუსტო ზოგიერთი ფაქტი.

პირველ წერილში აღნიშნულია: „ბ-ნ მ. მახარაძეს თურმე ბათუმში ყოფნისას გაუგია, რომ უნივერსიტეტში ჯერ-ჯერობით ადგილები ვერ გამოუნახეს იმათ, ვინც თავის დროზე მიზნობრივ ასპირანტურაში მიაღწიეს, არც ეს შეეფერება სინამდვილეს, რამეთუ ისინი უნივერსიტეტს არ მიუვლინებია“ (ხაზგასმა ჩემია, თ.ა.) სწორედ ამ ეპიზოდმა მაიძულა ჩავბმულიყავი პო-

ლემიკაში, ვინაიდან ასეთი განცხადება ავტორის მხრიდან არათუ უზუსტობა, არამედ აშკარა სიცრუეა, რაზეც, სამწუხაროდ, თვალს ხუჭავენ ხელის მომწერნი. გამოდის, რომ იმ მიზნობრივ ასპირანტთაგან, რომლებიც უნივერსიტეტმა ჯერ-ჯერობით ვერ დააკმაყოფილა სამუშაოთი, არცერთი არ ყოფილა მისი წარგზავნილი. არადა წერილის ავტორმაც და ხელისმომწერებმაც კარგად იციან, რომ მე 1985—88 წლებში ვმუშაობდი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კათედრის მასწავლებლად, რის შედეგადაც წარგზავნილი ვიყავი თსუ მიზნობრივ ასპირანტურაში. დაბრუნებიდან დღემდე ჩემი შტატში აყვანა ართუ ვერ, არამედ არ ხერხდება მიუხედავად როგორც ჩემი,

ასევე რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის არაერთგზის მოთხოვნისა. არადა ამის რეალური საშუალება კათედრაზე მთელი ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ იყო.

მიზეზი ჩემთვის უკვე ნათელია, ვინაიდან ზემოთაღნიშნულ კოლექტიურ წერილში იგი საქვეყნოდ გამჟღავნდა: ბ-ნი მ. მახარაძე და მმანი მისნი (როგორც წერილშია მოხსენიებული), ავტორის აზრითა და ხელისმომწერთა დასტურით, არც მეტი არც ნაკლები — უნივერსიტეტის შავ სიაში არიან ჩარიცხულნი. მე კი წერილებში ხსენებულ ასპირანტთაგან სწორედ ის ერთ-ერთთაგანი ვარ, ვინც იზიარებს ბ-ნი მ. მახარაძის პრინციპულ პოზიციას მრავალი საჭირობო-

თათვის, არამედ, როგორც ჩანს, ზოგიერთი წრეებისთვისაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაში, ვინაიდან ყველაფერი კეთდება, რათა მხოლოდ განსხვავებული პოზიციის გამო გზა გადაკეტოს არათუ მიზნობრივი ასპირანტურის კურსდამთავრებულს, არამედ ცნობილ მეცნიერს, ქართული ფილოსოფიის ერთერთ უნიჭიერეს და თვალსაჩინო მკვლევარსაც კი. ამ უკანასკნელის მსგავს მეცნიერებს კი ახლადამოყალიბებული უნივერსიტეტი სანთლით უნდა ეძებდეს, მითუმეტეს მაშინ, როცა იგი პროფესიონალი ფილოსოფოსების უმწვავეს დეფიციტს ნამდვილად განიც-

დის.

რაც შეეხება კოლექტიური წერილის ავტორთა ხაზგასმის, ზოგიერთი მათგანი მ. მახარაძის მსგავსად ბათუმის ერთერთ ფასიან უმაღლეს სასწავლებელშიც მუშაობსო, მიზნობრივი ასპირანტურის კურსდამთავრებულის სამუშაოთი დაუკმაყოფილებლობის ასახსნელად ვერაფერი არგუმენტი ვერ არის. დღევანდელ პიპერინფლაციის პირობებში ვინ სად შეითავსებს სამუშაოს, ეს არავისი საკითხავი არ არის. და მეორეც, ნებისმიერი ფასიანი სასწავლებელი რეგისტრირებულია სახელმწიფოს მიერ. მათთან არაერთი ცნობილი მეცნიერი თანამშრომლობს და ამ საქმეს ტყუილად გვითვლიან ცოდვად, მითუმეტეს ისინი, ვინც თვითონ შესანიშნავად ითავსებს სამუშაოს ფასიან სასწავლებელში. უფრო მეტიც, მათ შორის ორი ფასიანი უმაღლესი სასწავლებლის რექტორიც კია.

ამაზე იტყვიან, ფიცო მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

თამარ ავალიანი-ოსუ მიზნობრივი ასპირანტურის კურსდამთავრებული.

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს...

5.11.92 წ.

გაგონიერება
„ილია“ ფლის
ბოლოს და
მოვაგალი ფლის
პირველ
კვარტალში
დასტამბავს
უამდეგ
მფარალთა
თხზულებების
პირველ ტომებს:

1. აღექსანდრე ყაზბეგი — თხზულებანი 5 ტ. ტ. 1.
2. რევაზ ინანიშვილი — თხზულებანი 4 ტ. ტ. 1.
3. ვიქტორ ჰიუგო — თხზულებანი 13 ტ. ტ. 1;
4. ანდრე მორუა — თხზულებანი 8 ტ. ტ. 3, თითოეული წიგნის მოცულობა იქნება 400—500

პროდუქციული
ანდრე მორუა
მწერ
მწერ



№ 31 რუსთაველის პროსპექტი № 44 და 40/1; № 6 — „მერანი“ — პუშკინის ქ. № 3; № 49 — „გორგასალი“ — გორგასალის ქ. № 37; № 28 — „მნათობი“ გურამიშვილის პროსპექტი 69-ა; № 5 — „სინათლე“ — ილია ჭავჭავაძის პროსპექტი 19; № 42 „სამგორი“ — კახეთის გზატკეცილი 34-ბ.

განსხვადება

1992 წლის 19 ნოემბერს — ხუთშაბათს 14.00 საათზე გაიმართება ვაკის რეგიონული სახალხო ფრონტის კონფერენცია. დღის წესრიგი: წვერე-

ბის ხელახალი რეგისტრაცია მანდატების გამოცვლასთან დაკავშირებით 2. საორგანიზაციო საკითხები. რეგიონული სახალხო ფრონტის სახალხო

ფრონტის წევრების დასწრება საეკლდებულაო.

საორგანიზაციო ჯგუფი

განსხვადება

არქიტექტურის და მშენებლობის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას აბიტურენტების მოსამზადებელ კურსებზე შემდეგ საგნებში: მათემატიკა, ხატვა, ხაზვა, ფერწერა და უცხო ენა.

აბიტურენტები კურსების დამთავრების შემდეგ უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ამავე ინსტიტუტის არქიტექტურის, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტებზე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი 380086, სანდრო ელის ქუჩა 5 ა, „თბილხნიევის“ შენობა მეოთხე სართული.

ტელეფონები: 31-11-48,
 39-26-39,
 31-06-25

ინსტიტუტის რეკტორატი.

განჯამინ ფრანკლინის პროგრამით კონკურსში გამსვლელთა საყურადღებოდ!

საშუალება გექვებათ მოემზადოთ TOEFL-ის გამოცდისათვის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთან შესაბამისი ამერიკული პროგრამით.

ინქარეთ, კურსები კომპლექტდება 25 ნოემბრამდე.

მისამართი: თბილისი. იმედაშვილის ქ. № 4 (გაგარინის მოედანთან) 123-ე საშუალო სკოლა. ტელ. 37-05-11

საქართველოს სახალხო ფრონტი სამიზნარს უცხადებს ჭეშაღ ჭიქიას დედის გარდაცვალების გამო.